შპს „ბალავერი“

„ვამტკიცებ“,
შპს „ბალავერი“-ს დირექტორი
მ. გეგია



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

ბლოკი "ა"

თბილისი 2020 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

გამოყენებული მასალები:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შპს „სტუდია 9“-ს მიერ, დირექორი ა. ჩხაიძე, პროექტის მთ. არქიტექტორი მ. ჩხაიძე, კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე.

კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

- სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი
- ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ^2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია „LIRA SAPR-2011“ საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით სპექტრული მეთოდით.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის თანახმად დასაპროექტებელი შენობა წარმოადგენს სასტუმროს, იგი შედგება ერთი მიწისქვედა და 12 მიწისზედა სართულისაგან.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების თანამშრომელთა მიერ, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

უბნის ამგებ გრუნტებში გამოიყოფა სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი

1. ფენა - 1 ნაყარი (t,Q_{IV});
2. ფენა – 2 ხვინჭოვან-ხრეშოვანი ნახევრადმყარი თიხნარის შემავსებლით.
3. ფენა – 3 ძნელპლასტიკური თიხნარები (dp, Q_V)

ნაგებობის დაფუძნება ხდება ხვინჭოვან-ხრეშოვანი ნახევრადმყარი თიხნარის შემავსებლიან გრუნზე (ფენა-2), რომლის საანგარიშო მახასიათებლებია:

- სიმკვრივე – 1.81 კგ/სმ^3
- პუასონის კოეფიციენტი – 0.42;
- საანგარიშოწინაღობა –R_o = 2.1კგ/სმ^2.

საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ერთიანი ფილა, სისქით 130 სმ. საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მომზადება კლასით B7.5, სისქით 10 სმ.და და შრეობრივად, ყოველ 20 სმ-ში დატკეპნილი ბალასტი, სისქით 40 სმ

ვინაიდან გრუნტის წყალი ამჟღავნებს აგრესიულობას, საძირკვლებში და მიწასთან შეხებაში მყოფ კონსტრუქციებში გამოყენებული იქნას სულფატმედეგი ბეტონი, წყალშეუღწევადობით W4.

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

საპროექტო შენობას გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის კედლები და დიაფრაგმები, რომელთა სისქე 300-400 მმ-ია. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

სვეტები და პილონები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 40×40 სმ, 40×120 სმ, 40×200 სმ. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

შენობას რიგელები გააჩნია მხოლოდ პერიმეტრზე, შიდა ღერძები კი ურიგელოა. რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 400×500(h) მმ, და მასში გამოყენებულია ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25-ია.

გადახურვები და კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 20 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ოთარ ჭილაძის ქუჩა №9-ში (ს.კ. 01.10.14.007.023) სასტუმრო ”ამერი”-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ. გეგეჭკორი/

☎: 555-41-95-08

✉: gegechkori1951@gmail.com